




საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

2019





კონკურსები

2019 წლის 12 ივნისს გამოცხადდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2019 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი. საკონკურსო ფონდი – 455 000 ლარი.

შემოვიდა 59 პროექტი. დაფინანსდა შემდეგი 9 პროექტი:

- პაპანაძე (პროდიუსერი – შპს „ნუში ფილმი“ დირექტორი – თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი – თორნიკე გოგრიჭიანი) – 62 961 ლარით;
- გუშაგები (პროდიუსერი – შპს „ორნი“ დირექტორი – თინიკო ნადირაშვილი, რეჟისორი – სანდრო სულაძე) – 37 204 ლარით;
- #26 (პროდიუსერი – შპს „მილიმეტრ ფილმი“ დირექტორი – დავით უჭმაჭურიძე, რეჟისორი – გვანცა მეფარიშვილი) – 45 000 ლარით;
- შავი ზღვა (პროდიუსერი – ინდივიდ/მეწარმე – „ნინუკა ქოიავა“, რეჟისორი – თინათინ ემირიძე) – 10 035 ლარით;
- შუშის კუნთი (პროდიუსერი – შპს „ნუში ფილმი“ დირექტორი – თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი – ვაჟიკო ჩახიანი) – 60 000 ლარით;
- მეზობელი (პროდიუსერი – შსგ „მეტრო ფილმ ფროდაქშენი“ დირექტორი – მაია გურაბანიძე, რეჟისორი – დათო ბორჩხიძე) – 55 000 ლარით;
- აუზი (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“ დირექტორი – ნატო სიხარულიძე, რეჟისორი – სალომე ლაცაბიძე) – 37 000 ლარით;
- ჩატვირთვა (პროდიუსერი – შპს „დიგიტალ ქითჩენ ფილმსი“ დირექტორი – ლუკა ბერაძე, რეჟისორი – გიორგი წილოსანი) – 80 000 ლარით;
- ჭა (პროდიუსერი – შპს „ცისფერი მთები“ დირექტორი – ნელი შენგელაია, რეჟისორი – ელდარ შენგელაია) – 67 800 ლარით.

2019 წლის 20 ივნისს გამოცხადდა დოკუმენტური ფილმის 2019 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი. საკონკურსო ფონდი 360 000 ლარი.

შემოვიდა 35 პროექტი. საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით დაფინანსდა შემდეგი 7 პროექტი:

- ლანა, ანუკა და ფეხბურთის მთელი გუნდი (პროდიუსერი – ააიპ”მიკროკოსმოსი” სალო ჯაში, რეჟისორი და სცენარის ავტორი- ქეთევან კაპანაძე) – 65 830 ლარით;
- ბერი (პროდიუსერი – შპს”ორნი” თინიკო ნადირაშვილი, რეჟისორი და სცენარის ავტორი- სანდრო სულაძე, თინიკო ნადირაშვილი) – 22 216 ლარით;
- ღიმილიანი საქართველო (პროდიუსერი – შპს”1991 ფროდაქშენს” ნინო ჩიჩუა, ანა ხაზარაძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი – ლუკა ბერაძე) – 42 000 ლარით;
- მულამათი (პროდიუსერი – ი/მ თამთა გაბრიჩიძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი – თამთა გაბრიჩიძე) – 36 917 ლარით;
- სამი ურო (პროდიუსერი – შპს”სტუდია 99” – კარინე სარდლიშვილი, რეჟისორი – თამარ ბართაია, გიორგი ბართაია, სცენარის ავტორი – თამარ ბართაია) – 53 273 ლარით;
- აღდგომა (პროდიუსერი – ააიპ”ნიკადოკ ფილმი” ნიკოლოზ ბეჟანიშვილი, რეჟისორი – და სცენარის ავტორი- ნიკოლოზ ბეჟანიშვილი) – 64 000 ლარით;
- ჩემი მეზობელი (პროდიუსერი – ააიპ”კავშირი ოპიოდოკი” მარიამ ჭაჭია, რეჟისორი და სცენარის ავტორი- მარადია ცაავა) – 75 764 ლარით.

2019 წლის 20 ივნისს გამოცხადდა ანიმაციური ფილმის 2019 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი. საკონკურსო ფონდი 250 000 ლარი.

შემოვიდა 12 პროექტი. პროექტები განსახილველად გადაეცა საექსპერტო კომისიას.

მოსამზადებელ პერიოდშია:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენეცია“ (პროდიუსერი – შპს „ნიკე სტუდიო“ დირექტორი – რუსუდან ჭყონია, რეჟისორი – რუსუდან ჭყონია);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „სამურაი დასვენების უამს“ (პროდიუსერი – შპს „ალამდარი“, რეჟისორი – ლევან თუთბერიძე);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „წვიმა ორ ნაპირზე“ (პროდიუსერი – შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი -ზაზა ხალვაში);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ანტიკვარიანი“ (პროდიუსერი – შპს „სინეტექი“, რეჟისორი – რუსუდან გლურჯიძე);
- მცირებუჯეტის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცხელი ზაფხული“ (პროდიუსერი – შპს „შვიდკაცა“, რეჟისორი – გია ბარაბაძე);
- მცირებუჯეტის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ალარ შემოძლია“ (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“, რეჟისორი – ეკატერინე ჭელიძე);
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დროებითი ქერი“ (პროდიუსერი – შპს „ნათურა ფილმსი“, რეჟისორი – გიორგი ქობალია);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი“ (პროდიუსერი – შპს „სიბლერ ფროდაქშენი“ დირექტორი – შოთა ბაშარული, რეჟისორი – გიორგი გოგიჩაიშვილი);
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შიშველი ცა“ (პროდიუსერი – შპს „კინო არქიტექტორის ოფისი“, რეჟისორი – დეა კულუმბეგაშვილი).



“ბოსტანი კონფლიქტის ზონაში”



“თორმეტი გაკვეთილი”



“ინგა”



“მინდვრის ყვავილები”

გადაღების პერიოდშია:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, დირექტორი – ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი – გიორგი ცქვიტინიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თხილი“ (პროდიუსერი – შპს „იბერიკა ფილმი“ დირექტორი – ლევან კოლუაშვილი, რეჟისორი – ლევან კოლუაშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „აზნაშ ლამანი“ (პროდიუსერი – შპს „ბი-აი -თი სტუდიო“ მარიამ ბინაძე, რეჟისორი – ნონა გიუნაშვილი);
- ანიმაციური ფილმი „ფრენცის სასადილო“ (პროდიუსერი-ააიპ „სტუდია ჯიბის კაცი“ ანა ჩუბინიძე, რეჟისორ/ანიმატორი – ანა ჩუბინიძე);

მონტაჟდება:

- ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ქარმა დაუბერა, ქალმა თავის აბრეშუმის ყელსახვევზე გაიფიქრა“ (პროდიუსერი – ააიპ საქდოკ ფილმი“, რეჟისორი – ალექსანდრე კობერიძე).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხელოსანი თუ ხელოვანი“ (პროდიუსერი – ფ/პირი ნიკოლოზ აბრამაშვილი, რეჟისორი – გიორგი ცხვედიანი);
- მოკლე მხატვრული ფილმი „სასტუმრო მირაჟი“ (პროდიუსერი – შპს „პანიკა ფილმსი“ ანი კაშია, რეჟისორი – ანი კაშია);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ყვავი“ (პროდიუსერი – შპს „20 steps production“, დირექტორი – ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორ/ანიმატორი – ალექსანდრე ქათამაშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მიტოვებული სოფელი“ (პროდიუსერი – ააიპ „კვალი XXI“ ცოტნე კალანდაძე, რეჟისორ/ანიმატორი – მარი კაპანაძე);
- ერთობლივი ქართულ-თურქული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიდი“ (პროდიუსერი – სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი – ერეკლე ბადურაშვილი);
- მცირებუჯეტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზამთრის დეპრესია“ (პროდიუსერი – შპს „Film Asylum“, დირექტორი – ნიკა გუგუშვილი, რეჟისორი – თამაზ ნარიმანიძე);



“როგორ გავყიდოთ ომი”



“ფრენსის სასადილო”

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „თორმეტი გაკვეთილი“ (პროდიუსერი – ააიპ „მაც“ ჯერეჯი ჯეიმს გასკილ, რეჟისორი გიორგი მრეველიშვილი);
- მცირებუჯეტისანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი “ინგა” (პროდიუსერი – შპს “სიბლერ ფილმსი”, დირექტორი – დავით აბრამიშვილი, რეჟისორი – დავით აბრამიშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ (პროდიუსერი – შპს „სოლოსოლო“ დირექტორი-ბესიკ სოლომანაშვილი, რეჟისორი – ბესიკ სოლომანაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოთარის სიკვდილი“ (პროდიუსერი – შპს „მაისის ფერი“ დირექტორი – ევა ბლონდი, რეჟისორი – იოსებ ბლიაძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „და სხვები“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია 1,2,3,“ გიორგი ტეტიშვილი, რეჟისორი – დავით გურგულია);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სინემანია“ (პროდიუსერი – შპს „აკრობატი“ დირექტორი – ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი, რეჟისორი – ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რატომ ვართ ერთად“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია ფონოგრამი“ პაატა გოძიაშვილი, რეჟისორები – ილო ღლონტი, ლევან ღლონტი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დრამერი“ (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“ ელენე მარგველაშვილი, რეჟისორი – კ. კალანდაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ფიზიკური პირი ლუკა მგელაძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხე“ (პროდიუსერი – ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი – სალომე ჯაში, რეჟისორი – სალომე ჯაში).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი – შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი – ზაზა ხალვაში, რეჟისორი – სალომე და თამთა ხალვაში).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი – “სატრფიალო პასტორალი” (პროდიუსერი – შპს “თთფილმი” დირექტორი – თამარ გურჩიანი, რეჟისორი – თინათინ გურჩიანი).

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, დირექტორი – ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი – ირაკლი მეტრეველი).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ერთი ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი დღე“ (პროდიუსერი – შპს „არტ ფაბრიკა“ დირექტორი – თამაზ ორაჭილი, რეჟისორი – გიორგი შენგელაია).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი – „ისტორია საოჯახო ალბომიდან“ (პროდიუსერი – ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი – ანნა ძიაპშიპა, რეჟისორი – ანნა ძიაპშიპა).
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (პროდიუსერი -ინდ/მეწარმე გიო მგელაძე – კატმანდუ, რეჟისორი – გიორგი მგელაძე).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (პროდიუსერი – შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, დირექტორი – ივანე არსენიშვილი, რეჟისორები – ნინო ორტონიკიძე, ივანე არსენიშვილი).
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი – შპს „ელიენ ქინდ“ დირექტორი – გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი – ვალ ხარიტონაშვილი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი – ფ/პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი – გელა კანდელაკი).

დასრულდა

- ქართულ – უცხოური კოპროდუქცია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როგორ გავეიდოთ ომი“ (პროდიუსერი – შპს „20 steps production“ – დირექტორი – ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი – რუდოლფ ჰერცოგი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მინდვრის ყვავილები“ (პროდიუსერი – „3003 ფილმ ფროდაქშენ“ მინდობილი პირი – თამარ თვარაძე, რეჟისორი – ლანა ლოღობერიძე);
- ერთობლივი ქართულ – უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმოცდასამი – 43“ (პროდიუსერი – შპს „სინეტექი“ დირექტორი – რუსუდან გლურჯიძე, რეჟისორი – დიმიტრი ცინცაძე).



„ყვავი“



„ჩაისუნთქე-ამოისუნთქე“



საქართველოს კანდიდატი ფილმი ოსკარზე დიმიტრი ცინცაძის “შინდისი” გახდა

31 ივლისს, სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით, ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმი დიმიტრი ცინცაძის “შინდისი” გახდა. კენჭისყრა ფარული იყო და “შინდისმა” ხმათა უმრავლესობა (10 ხმა 12-დან) მიიღო.

კომისიის შემადგენლობაში იყვნენ:

- გაგა ჩხეიძე – ეროვნული კინოცენტრის დირექტორი
- ნინო ანჭაფარიძე – თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი
- ნანა დოლიძე – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
- გიორგი ხარებავა – კინოსტუდია “ქართული ფილმი”
- სულხან თურმანიძე – პროდიუსერი
- ზურაბ ინაშვილი – რეჟისორი
- ანკა კალატოზიშვილი – დამდგმელი მხატვარი
- სალომე კიკალეიშვილი – კინოკრიტიკოსი
- გიორგი მასხარაშვილი – რეჟისორი
- არჩილ შუბაშვილი – კინოკრიტიკოსი
- თემურ ჩხეიძე – რეჟისორი
- ნატა მურვანიძე – მსახიობი
- .

ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად წელს შემდეგი 5 ქართული ფილმი იყო წარმოდგენილი:

- ნინო ჟვანიას “აღლუმი”
- მარი გულბიანის დოკუმენტური ფილმი “სანამ მამა დაბრუნდება”
- დიმიტრი ცინცაძის “ჩაისუნთქე-ამოისუნთქე”
- გიგია აბაშიძის “მეზობლები”
- დიმიტრი ცინცაძის “შინდისი”

გამარჯვებული ფილმი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ოსკარისა და ოქროს გლობუსის კამპანიაში ჩაერთვება და ნომინაციებში მოსახვედრად იბრძოლებს.



ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალი

დიმიტრი მამულიას ახალი ფილმის მსოფლიო პრემიერა გაიმართა ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე, საკონკურსო პროგრამაში “ჰორიზონტები”.

“ბოროტმოქმედი” ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია. იგი ქარხნის 25 წლის ინჟინერის შესახებ გვითხრობს, რომელიც შემთხვევით ცნობილი მეკარის მკვლელობის მოწმე გახდება. ფილმის სცენარზე დიმიტრი მამულიამ და არჩილ ქიქოძემ იმუშავეს, ხოლო მთავარ როლებს გიორგი პეტრიაშვილი, ნატალია ჯუღელი და მადონა ჩახიანი ასრულებენ. ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალი მსოფლიოში უძველესი და ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული კინოფესტივალია, რომელიც ვენეციაში 1932 წლიდან იმართება.



ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალი

თამარ შავგულიძის ფილმის მსოფლიო პრემიერა ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა. “კომეტები” წარმოდგენილი იყო კინოფესტივალის საკონკურსო სექციაში “აღმოჩენები”.

ფილმი ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. იგი ორი შუახნის ქალბატონის მეგობრობასა და სიყვარულზე მოგვითხრობს.

“კომეტების” სცენარზე რეჟისორმა თავადვე იმუშავა. ფილმის პროდიუსერები არიან თეკლა მაჭავარიანი და ალექსანდრე შერვაშიძე, ხოლო ოპერატორი – გიორგი შველიძე. მთავარ როლებს ქეთევან გეგეშიძე, ნინო კასრაძე, კატო კალატოზიშვილი, ნინა მაზოდიერი და მარიამ ირემაშვილი ასრულებენ.

ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალი ერთ-ერთი უდიდესი კინომოვლენაა, რომელიც კანადაში 1976 წლიდან იმართება და ყოველწლიურად 400 000-ზე მეტ სტუმარს მასპინძლობს.

ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალი

ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე, საკონკურსო სექციაში Pardi di Domani შედგა ამირან დოლიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმის მსოფლიო პრემიერა.

„ცხოველი“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია. იგი ახალგაზრდა, უმუშევარი კაცის შესახებ გვიყვება, რომელსაც რთულ პირობებში უჭირს თავისი წესიერების შენარჩუნება.



16 აგვისტოს ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა კიდევ ერთი ფილმის პრემიერა, რომელზეც ქართველი რეჟისორი – გიორგი ვარსიმაშვილი მუშაობდა. ფილმი Under the God 15 ნოველისგან შედგება. ერთ-ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმი გიორგი ვარსიმაშვილს ეკუთვნის. ფილმს „არჩევანი“ ჰქვია და იგი გიორგი ცხვედიანის სცენარის მიხედვით არის შექმნილი. ფერების დიზაინზე იმუშავა ნიკო ტარიელაშვილმა.

ლევან გელბახიანი სარაევოს კინოფესტივალზე საუკეთესო მამაკაცი მსახიობის ჯილდოს მფლობელი გახდა

22 აგვისტოს გაიმართა სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულების დაჯილდოვების ცერემონია. ფესტივალის პრიზებისთვის სულ 53 ფილმი იბრძოდა.

გამარჯვებულებს შორის დასახელდა ლევან გელბახიანი. ლევანი საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ჯილდოს – „სარაევოს გულის“ მფლობელი გახდა ლევან აკინის ფილმში „და ჩვენ ვიცეკვით“ შესრულებული მთავარი როლისთვის.

სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალზე წელს სულ 3 ქართული ფილმი იყო წარმოდგენილი. ფესტივალის მთავარ კონკურსში მონაწილეობდა ლევან აკინის „და ჩვენ ვიცეკვით“, მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში აჩვენეს ირინე ჟორდანიას „მარქსის ქუჩა 12“, ხოლო სტუდენტური ფილმების კონკურსში – პეტრე თომაძის „ღამის სეანსი“.

სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალი ყოველწლიურად ბოსნია და ჰერცეგოვინაში ტარდება და იგი რეგიონის უმნიშვნელოვანეს კინოლონისძიებად ითვლება.



კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალი

კანის კინოფესტივალის შემდეგ, ელდარ შენგელაიასა და თამაზ მელიაშას ფილმი “თეთრი ქარავანი” კარლოვი ვარის კინოფესტივალზე სექციაში Out of the Past აჩვენეს.

ფილმზე მუშაობა 3 წლის მანძილზე გრძელდებოდა. “თეთრი ქარავანის” სცენარზე მერაბ ელიოზიშვილი მუშაობდა, ხოლო ოპერატორი ტიტო კალატოზიშვილი იყო. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ სპარტაკ ბაღაშვილი, დოდო აბაშიძე, არიანა შენგელაია და იმედო კახიანი.

ფილმის მსოფლიო პრემიერა 1964 წელს კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.

მიშო ანთაძე პალიჩის ევროპული ფილმების ფესტივალზე დააჯილდოვეს

მიშო ანთაძის დოკუმენტური ფილმი “მოსავალი” პალიჩის ევროპული ფილმების ფესტივალზე კრიტიკოსთა ჟიურის პრიზით დაჯილდოვდა. ფილმი წარმოდგენილი იყო სექციაში “პარალელები და შეხვედრები” (Parallels and Encounters).

“მოსავალი” ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია, რომლის მსოფლიო პრემიერა როტერდამის კინოფესტივალზე შედგა.

„მოსავალი“ ქართულ-ამერიკული კოპროდუქციაა. ფილმის პროდიუსერია ნათია გულიაშვილი. მოვლენები კახეთში ვითარდება. ამ აგრიკულტურულად მდიდარი მიწის მაცხოვრებლები ახლა ვირტუალური მოსავალის მოპოვების ციებ-ცხელებით არიან შეპყრობილნი. “მოსავალი” ჩუმი დაკვირვებაა ადამიანის, ლანდშაფტისა და ტექნოლოგიის ურთიერთკავშირზე კრიპტოვალუტის ეპოქაში.



ოპერატორთა საერთაშორისო კინოფესტივალი MANAKI BROTHERS

14-21 სექტემბერს მაკედონიის ქალაქი ბიტოლა მასპინძლობდა ოპერატორთა საერთაშორისო კინოფესტივალს MANAKI BROTHERS. ფესტივალზე, რომლის ფოკუს ქვეყანა წელს საქართველო იყო, შემდეგი 4 ქართული ფილმი აჩვენეს:

- რუსუდან გლურჯიძის “სხვისი სახლი”;
- თინათინ ყაჭრიშვილის “პატარძლები”;
- მარიამ ხაჭვანის “დედე”;
- ლევან კოლუაშვილის “შემთხვევითი პაემნები”;

MANAKI BROTHERS კინოოპერატორთა ერთ-ერთი უძველესი კინოფესტივალია, რომელიც მაკედონიის კინოპროფესიონალთა ასოციაციის ინიციატივით 1979 წელს დაარსდა. იგი ცნობილი ოპერატორი ძმების – იანაკი და მილტონ მანაკების სახელს ატარებს.



მელბურნში ქართული ანიმაციური ფილმების პროგრამა აჩვენეს

13-21 ივლისს ავსტრალიის ქალაქ მელბურნში გაიმართა ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, სადაც ქართული ანიმაცია შემდეგი პროგრამით იყო წარმოდგენილი:

- “გოდერძი” – რეჟისორი პეტრე თომაძე
- “მეთევზე და გოგონა” – რეჟისორი მამუკა ტყეშელაშვილი
- “ჩაი” – რეჟისორი პეტრე თომაძე
- “ბებო” – რეჟისორი სანდრო ქათამაშვილი
- “ჭიბის კაცი” – რეჟისორი ანა ჩუბინიძე
- “ჰორიზონტი” – რეჟისორი დათო კიკნაველიძე
- “ლილე” – რეჟისორი ნათია ნიკოლაშვილი

მელბურნის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალმა მაყურებელს წარუდგინა 400-ზე მეტი ანიმაცია – როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე ფილმები. ქართული პროგრამა აჩვენეს სექციაში Window On Georgian Animation.

სალომე დემურია Almaty Film Festival-ზე დაჯილდოვდა

14-20 სექტემბერს ყაზახეთში გაიმართა Almaty Film Festival, სადაც სალომე დემურია საუკეთესო ქალი მსახიობის ჯილდოს მფლობელი გახდა.

სალომეს ჯილდო გადაეცა დიმიტრი ცინცაძის ფილმში “ჩაისუნთქე-ამოისუნთქე” შესრულებული მთავარი როლისთვის.

ფილმი ყოფილი ექიმის – ირინას ცხოვრების შესახებ გვითხრობს, რომელიც ციხეში გატარებული წლების შემდეგ სახლში ბრუნდება, რათა გარშემომყოფების ნდობა დაიბრუნოს და ახალი ცხოვრება დაიწყო.

ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი

15-22 სექტემბერს ბათუმმა მეოთხემეტედ უმასპინძლა საავტორო ფილმების საერთაშორისო ფესტივალს. ეროვნული კინოცენტრი ტრადიციულად კინოფესტივალის მხარდამჭერია. დახურვის საზეიმო ცერემონიაზე საერთაშორისო ჟიურიმ პრიზები გასცა სამ საკონკურსო სექციაში – საერთაშორისო მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმები. ქართველ კინოკრიტიკოსთა ჟიურიმ კი კრიტიკოსთა რჩეული მხატვრული ფილმი გამოავლინა.



ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის ჯილდოები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- გრანპრი – **“და იქმნა ნათელი”**, მარკო სკოპი, სლოვაკეთის რესპუბლიკა / ჩეხეთი, 2019
- საუკეთესო რეჟისურა – **“ოცნებების სასახლე”**, რეზა მირკარიმი, ირანი, 2019
- საუკეთესო მსახიობი მამაკაცი – **კაიან არიკგოზი**, ფილმში „სამი დის ზღაპარი“, ემინ ალპერი, თურქეთი/გერმანია, 2019
- საუკეთესო მსახიობი ქალი – **ერე იუკსელ**, ფილმში „სამი დის ზღაპარი“, ემინ ალპერი, თურქეთი/გერმანია, 2019
- ჟიურის სპეციალური პრიზი – **“სეზონის დასასრული”**, ელმარ იმანოვი, გერმანია/აზერბაიჯანი/საქართველო, 2019
- საუკეთესო დოკუმენტური ფილმი – **„მაფიის გადაღება“**, კიმ ლონგინოტო, ირლანდია, 2019
- ჟიურის სპეციალური პრიზი – **„სიყვარულის ავტომობილი“**, ელკე მარგარეტ ლერენკრაუზი, გერმანია, 2019 და **„ფორმანი ფორმანის წინააღმდეგ“**, ელენა ტრეშტიკოვა, ჩეხეთი, 2019
- საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი – **“ცხოველი”**, ამირან დოლიძე, საქართველო, 2019

ჟიურის დიპლომი (სპეციალური მოხსენიება) გადაეცა ორ ფილმს:

- **“იმედი”**, ალექსანდრა მარკოვა, ბელორუსია, 2019
- **“საზამთროს წვენი”**, ირინე მორეი, ესპანეთი, 2019

BIAFF 2019-ის ქართველ კინოკრიტიკოსთა ჟიურიმ – ლელა ოჩიაური, ნინო მხეიძე, სალომე კიკალეიშვილი, გამოვლინა კინოკრიტიკოსთა რჩეული ფილმი:

- საუკეთესო მხატვრული ფილმი – **“ოცნებების სასახლე”**, რეზა მირკარიმი, ირანი, 2019



BIAFF-ის პრიზი კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის გადაეცათ:

- **მანუჩარ შერვაშიძე** (საქართველო)
- **პოლ შრედერი** (აშშ)
- **დენის ლავანი** (საფრანგეთი)
- **ალექსანდრე მინდაძე** (რუსეთი)

კინოფესტივალის დახურვის ცერემონიაზე ასევე დაჯილდოვდა BIAFF 2019-ის ინდუსტრიული პლატფორმის გამარჯვებული პროექტები. გამარჯვებულებს გადაეცათ შემდეგი პრიზები:

- ვროცლავის აუდიოვიზუალური ცენტრის (CETA) პრიზი – 10,000 ევროს ექვივალენტი კინოპროდუქციის სერვისი – პროექტი „ნარინჯისფერი ცა“ – რეჟისორი და პროდიუსერი შალვა შენგელი, თანასცენარისტი ალექსანდრე ქურხული.
- BIAFF კინოფესტივალის პრიზი – საერთაშორისო კინოფესტივალზე BERLINALE დასწრება – პროექტი „ტვირთი“- რეჟისორი და პროდიუსერი ანა იოსავა, თანასცენარისტი ოთარ ქათამაძე.
- სტამბულის კინოფესტივალის ინდუსტრიული პლატფორმის „Meeting on the Bridge“ პრიზი – სტამბულის კინოფესტივალის ინდუსტრიულ პლატფორმაზე დასწრება – პროექტი „შენ გავხარ მამას“ – რეჟისორი ლევან ლომჯარია, პროდიუსერი ვაკო კირკიტაძე.

კინოფესტივალის მხარდამჭერები – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, აჭარის კულტურის სამინისტრო, აჭარის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო, ბათუმის დრამატული თეატრი, „ბრიტანეთის საბჭო“, გოეთეს ინსტიტუტი და იტალიის საელჩო.



ნიქოზის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი

შიდა ქართლში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ნიქოზში წელს უკვე მეცხრედ გაიმართა ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი. ეროვნული კინოცენტრი ტრადიციულად ფესტივალის მთავარი მხარდამჭერია.

რამდენიმე დღის მანძილზე ნიქოზის კინოფესტივალმა დამსწრე აუდიტორიას შესთავაზა არაერთი საინტერესო ანიმაციური ფილმის ჩვენება, მუსიკალური, ქორეოგრაფიული, თეატრალური წარმოდგენები, გამოფენები, მასტერკლასები და დრეზდენის, ანსის და სხვა ცნობილი კინოფესტივალების ფილმების პროგრამები.

ლონისძიებს ესწრებოდნენ სტუმრები ლატვიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან და ბელარუსის რესპუბლიკიდან.



კინო და ტელეოპერატორების საერთაშორისო ფესტივალმა გამარჯვებულები გამოავლინა

წელს უკვე მეცხრედ გაიმართა კინო და ტელეოპერატორების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს თვალი“. ფესტივალი 27 სექტემბერს დაიხურა. საზეიმო ცერემონიაზე საერთაშორისო ჟიურიმ გამოავლენა გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში:

- საუკეთესო კინოოპერატორული ნამუშევარი – კარლ რასმუსენი „გაბე“ (შვედეთი)
- საუკეთესო ტელეოპერატორული ნამუშევარი – გიორგი ძოწენიძე „ბაატარის ლტოლვილთა ბანაკი“ (საქართველო)
- საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ოპერატორული ნამუშევარი – ილია კონდრატიევი „დაბნელებამდე: ნოველა 2 ძველი სახლი“ (რუსეთი)
- საუკეთესო სტუდენტური ნამუშევარი – იშტვან ბალაში „კასტინგი“ (უნგრეთი)
- გრან პრი – იშტვან ბალაში „კასტინგი“ (უნგრეთი)
- ფესტივალის ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო ღონისძიებები და ტრადიციულად

გაიმართა სამაუწყებლო ტექნიკის საერთაშორისო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობდნენ ტექნიკის მწარმოებელი ლიდერი კომპანიები: Sony, Panasonic, Canon, RTS, Broadstream, VSN, LiveU, Ross Video, Vitec, Etere, Manfrotto, Telestream, Deva, AVB, Videoscope, Chyronhego.

ფესტივალის მხარდამჭერია ეროვნული კინოცენტრი.

იორდანიაში ქართული ფილმების ჩვენება მოეწყო

საქართველო “კავკასიური ფილმების კვირეულის” სტუმარი ქვეყანა იყო. კვირეულის ფარგლებში იორდანიაში აჩვენეს 2 ქართული ფილმი – ანა ურუშაძის “საშიში დედა” და ზაზა ხალვაშის “ნამე”.

“კავკასიური ფილმების კვირეულს” ორგანიზებას უწევს იორდანის ფილმების სამეფო კომისია.

კვენტინ ტარანტინოსა და ჯუნ-ჰო ბონგის ახალი ფილმების პრემიერებს ეროვნულმა კინოცენტრმა და კინოთეატრმა “ამირანმა” ერთობლივად უმასპინძლეს.

კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართა კვენტინ ტარანტინოს ახალი ფილმის „ერთხელ ჰოლივუდში“ პრემიერა, რომელსაც კულტურის სფეროსა და მედიის წარმომადგენლები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები დაესწრნენ.



ღონისძიებას კინოთეატრი „ამირანი“ და ეროვნული კინოცენტრი მასპინძლობდნენ. მოწვეულმა სტუმრებმა 70-იანი წლების სტილი მოირგეს.

ფილმის მსოფლიო პრემიერა კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე რამდენიმე თვის წინ შედგა. ფილმში მთავარ როლებს ჰოლივუდის ვარსკვლავები – ლეონარდო დიკაპრიო, ბრედ პითი, მარგო რობი, დაკოტა ფანინგი, ალ პაჩინო და კურტ რასელი ასრულებენ.

ტარანტინოს ფილმის პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე ეროვნულმა კინოცენტრმა და კინოთეატრმა “ამირანმა” კანის კინოფესტივალის მთავარი ჯილდოს მფლობელი ფილმის დახურულ ჩვენებას უმასპინძლეს.

ჯუნ-ჰო ბონგის „პარაზიტის“ პრემიერა ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის გაიმართა.

გიორგი შველიძე – ამერიკის კინოაკადემიის ახალი წევრი



ცნობილმა ამერიკულმა გამოცემამ The Hollywood Reporter გამოაქვეყნა იმ კინემატოგრაფისტთა სია, ვინც ამერიკის კინოაკადემიამ ახალ წევრებად აირჩია. შერჩეულ წევრებს შორის არიან ელიზაბეტ მოსი, ლედი გაგა, კლერ ფოი, ტომ ჰოლანდი და სხვები. უცხოელ კოლეგებთან ერთად ამერიკის კინოაკადემიის ახალი წევრია ქართველი ოპერატორი გიორგი შველიძე. 2018 წელს ზაზა ხალვაშის “ნამე” საქართველოს კანდიდატი ფილმი გახდა “ოსკარის” უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის. გიორგის ნამუშევარმა ყურადღება სწორედ “ოსკარის” კამპანიის დროს მიიპყრო. მოგვიანებით იგი ამერიკელ კინოოპერატორთა საზოგადოების რჩეული გახდა და ლოს ანჯელესში Spotlight Award გადაეცა.

გიორგი შველიძის გარდა, ამერიკის კინოაკადემიის ქართველი წევრები არიან რეჟისორები ნანა ჯორჯაძე და ზაზა ურუშაძე. წელს კინოაკადემიამ სულ 842 ახალი წევრი შეარჩია 59 ქვეყნიდან.

ნინო კირთაძე – საქართველოს წარმომადგენელი "ევრიმაჟში"



16 ივლისს ცნობილი ქართველი რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი ნინო კირთაძე „ევრიმაჟში“ საქართველოს წარმომადგენელად დაინიშნა.

საქართველო „ევრიმაჟის“ წევრი ქვეყანა 2011 წელს გახდა. ამ წლების მანძილზე დაფინანსდა 15 ქართულ-უცხოური კოპროდუქცია. ფონდის მიერ ქართული პროექტების დასაფინანსებლად გაიცა 3 092 322 ევრო.

1997 წლიდან ნინო კირთაძე ცხოვრობს და მოღვაწეობს პარიზში. რეჟისორობამდე ნინო აქტიურად იყო ჩართული ჟურნალისტურ საქმიანობაში, მუშაობდა კონფლიქტის ზონებში და აშუქებდა ჩეჩნეთის, ყარაბაღისა და აფხაზეთის ომების მიმდინარეობას.

ნინოს სარეჟისორო დებიუტი საფრანგეთში შედგა. დღეს იგი ევროპაში აღიარებული რეჟისორია – ხუთჯერ არის დაჯილდოვებული ფრანგული არტ ჰაუსის რეჟისორ-სცენარისტთა გილდიის მიერ, ოთხჯერ აქვს მიღებული წლის საუკეთესო ფილმის პრიზი საფრანგეთში, არის გერმანიის „ოქროს გრიმეს“ მფლობელი. ნინოს არაერთი პრიზი აქვს მიღებული პრესტიჟულ საერთაშორისო კინოფესტივალებზე, მათ შორის საუკეთესო რეჟისორის ჯილდო სანდენსის კინოფესტივალზე და ევროპული კინოაკადემიის ოსკარი.

აღსანიშნავია, რომ როგორც მსახიობი ნინო კირთაძე პირველად გამოჩნდა ნანა ჯორჯაძის ფილმში „შეცვარებული კულინარიის ათასერთი რეცეპტი“, სადაც ის პარტნიორობას პიერ რიშარს უწევდა. ნინო მუშაობდა ისეთ მსახიობებთან, როგორებიც არიან ვიტორიო გასმანი, ბენ კასარა, ჟაკ დიუტრონი და შარლოტ რემპლინგი.

ამჟამად ნინო თავისი ახალი ფილმის წარმოებას ასრულებს, მუშაობს ორი მხატვრული ფილმის სცენარზე და აქტიურად თანამშრომლობს საფრანგეთისა და შვეიცარიის კინოსკოლებთან და კოლუმბიის უნივერსიტეტთან, როგორც პროფესორი. ნინო კირთაძის ხელმძღვანელობით 40-მდე ფილმია შექმნილი, რომელთაც საერთაშორისო წარმატება ხვდა წილად.



TACE producers-ის ახალ წევრთა შორის ლაშა ხალვაში დასახელდა

16 სექტემბერს, გავლენიანმა გამოცემამ Screendaily გამოაქვეყნა იმ პროდიუსერთა სია, რომლებიც ACE producers-ის გაერთიანების ახალი წევრები გახდნენ.

პირველად, ACE producers-ის წევრთა შორის დასახელდა პროდიუსერი ამიერკავკასიის რეგიონიდან – ლაშა ხალვაში.

ACE producers დამოუკიდებელი, გამოცდილი პროდიუსერების გაერთიანებაა. იგი 1993 წელს დაარსდა და მას დღეს უკვე 250 აქტიური წევრი ყავს 45 ქვეყნიდან.

ACE producers-ის ახალი წევრები 2019/2020 წლის პროექტების განვითარების პროგრამაში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც 3 სესიისგან შედგება. სამუშაო შეხვედრები ჰელსინკიში, პრაღასა და ამსტერდამში გაიმართება. პროგრამის ფარგლებში ლაშა ხალვაში თინათინ ყაჭრიშვილის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტის განვითარებაზე იმუშავებს სახელწოდებით „თევზაობა“.

სამუშაო სესიების შემდეგ ედინბურგში გაიმართება ღონისძიება, სადაც ახალი წევრები

ოფიციალურად გაწევრიანდებიან ACE producers-ის გაერთიანებაში.



თბილისში ჰოლივუდური ბლოგასტერის გადაღებები მიმდინარეობდა

ჰოლივუდის კინომწარმოებელი კომპანია „UNIVERSAL PICTURES“-ს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფილმის საფინანსო ეპიზოდის გადაღება საქართველოში 5 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა.

„ფორსაჟი 9“-ს გადაღებები ჯგუფი 600 ადამიანისგან შედგებოდა, მათ შორის 425 ადგილობრივი პერსონალი იყო. საქართველოში დაგეგმილი გადაღებებისთვის 32 მილიონამდე ლარი დაიხარჯა. გადაღების მასშტაბისა და ინვესტიციის მოცულობიდან გამომდინარე, აღნიშნული პროექტი უპრეცედენტოა სახელმწიფო პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ არსებობის ისტორიაში.

გადაღებებისთვის შეირჩა ლოკაციები თბილისსა და რუსთავში.

საქართველოში გადაღებებს ქართული საპროდუსერო კომპანია „ენკენი ფილმს ფფ9“ უზრუნველყოფდა.

პროგრამას „გადაიღე საქართველოში“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტო „ანარმოე საქართველოში“ ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით ახორციელებს.



განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორს, გაგა ჩხეიძეს შეხვდა. შეხვედრაზე მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობებზე ისაუბრეს.

როგორც მარიამ ჯაშმა აღნიშნა, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე მუშაობისას კულტურის სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი იქნება ქართული კინოს დაფინანსების მაქსიმალურად გაზრდა.

„განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი მჭიდროდ ითანამშრომლებს კინოცენტრთან, კინოაკადემიასთან, „ქართული ფილმის“ სტუდიასთან და ქართული კინოს ინდუსტრიაში ჩართულ ყველა მონაწილე მხარესთან, რათა გავაძლიეროთ როგორც პოლიტიკის საფუძვლები, ასევე კინოს განვითარების შესაძლებლობები საქართველოში“, – განაცხადა მარიამ ჯაშმა.

შეხვედრაზე, ასევე, ისაუბრეს მიმდინარე საერთაშორისო პროექტების მნიშვნელობასა და ამ მიმართულებით თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებზე.

„კომიტეტი მაქსიმალურად დაუჭერს მხარს ქართული კინოს განვითარების შესაძლებლობებს. ჩვენ ასევე შევთანხმდით, რომ კომიტეტის შემდგომი გასვლითი სხდომა მიეძღვნება ქართული კინოს მდგომარეობის შეფასებას და მისი განვითარების გეგმების განხილვას“, – განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ.



“ზაფხულის კინოსკოლის” შემაჯამებელი ღონისძიება ჩხოროწყუში გაიმართა

21 ივლისს, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში გაიმართა “ზაფხულის კინოსკოლის” შემაჯამებელი ღონისძიება. ღონისძიებას ადგილობრივი მთავრობისა და ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ჩხოროწყუში აჩვენეს ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილის დოკუმენტური ფილმი “გამჭვირვალე სამყარო”. ფილმი დამსწრე საზოგადოებას თავად რეჟისორმა წარუდგინა.

პროექტი “ზაფხულის კინოსკოლა” ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა. ფილმების ყურებისა და დისკუსიებში მონაწილეობის გარდა, კინოსკოლელები კინომისიონერებთან (კინოსპეციალისტებთან) ერთად იღებდნენ მოკლემეტრაჟიან ფილმებს და ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა კინოაქტივობაში. შემაჯამებელ ღონისძიებაზე კინოსკოლელებმა საზოგადოებას თავიანთი ნამუშევრები წარუდგინეს.

ეროვნული კინოცენტრის ინიციატივითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, “ზაფხულის კინოსკოლა” წელს 8 ივლისს დაიწყო. პროექტში ჩაერთო საოკუპაციო ხაზთან მდებარე და მაღალმთიანი 25 სოფელი.

პროექტის მიზანია მოზარდებში კინოგანათლების პოპულარიზაცია და შემოქმედებითი უნარების განვითარება.

გრანტები და ინდუსტრიული პროგრამები

- ქართულმა კინოპროექტმა “ევრიმაჟის” დაფინანსება – 60 000 ევრო – მოიპოვა! “ინგა” საქართველოს, ლიეტუვისა და ლუქსემბურგის კოპროდუქციაა. ფილმის რეჟისორები არიან გიორგი გოგიჩაიშვილი და დავით აბრამიშვილი.
- მარიამ ხაჭვანმა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტისთვის “ჩემი მეზობელი ანა” კორეული ფონდის პროექტის განვითარების გრანტი – 5000 დოლარი მიიღო.
- ლევან კოლუაშვილის ახალი ფილმის პროექტი “მეოთხე ბრაიტონი” მონაწილეობდა იერუსალიმის სემ შპიგელის კინოლაბორატორიაში. სექცია work in progress – ში ორი ჭილდო იყო დაწესებული და ორივეს მფლობელი ქართული კინოპროექტი გახდა.

გრანტები და ინდუსტრიული პროგრამები

- ქართველი პროდიუსერი ელენე მარგველაშვილი როტერდამის ლაბის ჯილდოს Rotterdam Lab Scholarship Award მფლობელი გახდა. იგი მონაწილეობას მიიღებს ტრენინგში, რომელიც როტერდამის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში ჩატარდება.
- ოდესის საერთაშორისო კინოფესტივალის ინდუსტრიულ სექციებში კინემატოგრაფისტებმა არაერთი ფილმის პროექტი წარადგინეს. Pitching Award გადაეცა ქართველ პროდიუსერ ვლადიმერ კაჭარავას ფილმის პროექტისთვის “პანოპტიკონი” (რეჟისორი – გიორგი სიხარულიძე).
- ახალგაზრდა ქართველმა რეჟისორმა ანა სარუხანოვამ სომხეთის კოპროდუქციის მარკეტზე მთავარი ჯილდო – 55 000 ევრო მიიღო.



**საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი**
**Georgian National
Film Center**

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმების შესახებ უზუსტობის აღმოჩენის ან დამატებითი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და მოგვანოდოთ ინფორმაცია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე – info@gnfc.ge.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

სანაპიროს #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge